

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „მეგა კონსტაქშენი“

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება-----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	6-14

შპს "მეგა კონსტრუქტორი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	<u>3</u>	180,811	75,075
არამატერიალური აქტივები	<u>4</u>	2,953	3,475
საინვესტიციო ქონება			
სულ გრძელვადიანი აქტივები		183,765	78,550
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	<u>1</u>	165,548	79,150
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	<u>2</u>	1,286,577	517,181
მარაგები	<u>8</u>	3,308,629	1,081,629
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,760,754	1,677,959
სულ აქტივები		4,944,519	1,756,509
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,932,560	1,111,062
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		296,683	586,197
სულ კაპიტალი		2,229,242	1,697,259
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	<u>5</u>	2,715,276	59,250
საგადასახადო ვალდებულებები			
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,715,276	59,250
სულ ვალდებულებები		2,715,276	59,250
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,944,519	1,756,509

ფინანსური უწყისები მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეთანხმებულია მენეჯმენტთან :

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

შპს "მეგა კონსტრუქშენი"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2018
ამონაგები	6	1,280,877
თვითღირებულება	7	(1,090,162)
საერთო მოგება		190,715
სხვა შემოსავლები		
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(313,690)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	9	(180,263)
სხვა ხარჯები		
საოპერაციო მოგება		(303,238)
ფინანსური შემოსავალი		
ფინანსური ხარჯი	10	(359)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		14,083
მოგება დაბეგვრამდე		(289,514)
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება		(289,514)
სხვა სრული შემოსავალი:		
გადაფასების რეზერვი		
მთლიანი სრული შემოსავალი		(289,514)

შპს "მეგა კონსტრაქშენი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	1,111,062	-	586,196.58	1,697,259
წმინდა მოგება		-	(289,514)	(289,514)
სხვა სრული შემოსავალი		-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(289,514)	(289,514)
გაცემული დივიდენდი	-			-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	821,498	-		821,498
2018 წლის 31 დეკემბერი	1,932,560	-	296,683	2,229,242

შპს "მეგა კონსტრაქშენი"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(ლარში)

	შენიშვნა	2,018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	(289,514)	
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:		
- ცვეთა		14,756
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	(340,370)	
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		(769,396)
- მარაგები		(2,227,000)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		2,656,026
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	(615,128)	
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(615,128)	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა		(119,971)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(119,971)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		821,498
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	821,498	
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება		
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა სხვაობა	86,398	
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	79,150	
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	165,548	

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მეგაკონსტრაქშენი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 1997 წლის 2 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საიდენტიფიკაციო ნომრით 203835920. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ.თბილისის საბურთალოს რაიონი, მ. ბურძგლას ქ. #20, ბინა 10. ფაქტიური მისამართი თბილისი, გლდანი-ქერჩის ქუჩა N6დ. კომპანია დღე-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2016 წლის 29 ნოემბრიდან

მეგაკონსტრაქშენი სამშენებლო-დეველოპერული კომპანია. იგი აწარმოებს მაღალი ხარისხის საცხოვრებელი ბინების მშენებლობას. მშენებლობის პროექტირება ხორციელდება უცხოელი სპეციალისტების მიერ. მშენებლობაში გამოიყენება თანამედროვე სამშენებლო მიღწევების ტექნოლოგიები.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი არის „შპს თბილცემენტ გრუპი“ საიდენტიფიკაციო კოდი (436031973); კომპანიის დირექტორია ჯაბა ჩხაიძე. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 1,932,560 ლარს. 2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 73 ადამიანი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრს, კომპანიის წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2018 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2018 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2,5922

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **ნარჩენი ღირებულების მეთოდით**;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი :	მეთოდი:
ნაგებობები :	5% წლიური; ნარჩენი ღირ-ბის მეთოდი
მანქანა-დანადგარები :	20% წლიური; ნარჩენი ღირ-ბის მეთოდი
ელექტრონული მოწყობილობები :	20% წლიური; ნარჩენი ღირ-ბის მეთოდი
ოფისის აღჭურვილობა :	20% წლიური; ნარჩენი ღირ-ბის მეთოდი
კომპიუტერები და მოწყობილობები :	20% წლიური; ნარჩენი ღირ-ბის მეთოდი
ავეჯი და სხვა ინვენტარი :	20% წლიური; ნარჩენი ღირ-ბის მეთოდი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა :	15% წლიური; ნარჩენი ღირ-ბის მეთოდი
არამატერიალური აქტივები:	15% წლიური; ნარჩენი ღირ-ბის მეთოდი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები. არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება ნარჩენი ღირებულების მეთოდით.

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება

ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულებები:

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან.

კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარგადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება/ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ჰქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

შენიშვნა 1 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფულისალაროში	165548	75311
ფულისაბანკო ანგარიშებზე	0	3839
სულ ჯამი	165,548	79,150

შენიშვნა 2 -სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

ლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	1,286,577	571,181
სულ ჯამი	1,286,577	571,181

შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებები

	ნაგებობები	მანქანა დანადაგერები	კომპიუტერული ტექნიკა	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამი
ლარში						
2017 წლის ბოლოს მდგომარეობით	22,301	13,252	13,559	29,500	288	78,901
შესყიდვა	1,864	271	22,157	40,363	55,316	119,971
გასვლა						

2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	24,166	13,523	35,716	69,863	55,604	198,872
დაგროვილი ცვეთა 2017 წლის ბოლოს მდგომარეობით	353	1,644	633	1,166	31	3826
ცვეთის ხარჯი	1,184	2,322	4,551	6,139	36	14,235
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	1,537	3,966	5,184	7,305	69	18,061
საბალანსო ღირებულება						
2017 წლის ბოლოს	21,948	11,608	12,927	29,334	257	1,366
2018 წლის ბოლოს	22,629	9,558	30,532	62,559	55,534	180,811

შენიშვნა 4 -
არამატერიალური
აქტივები
არამატერიალური
აქტივი
ლარი

პროგრამები

ჯამი

2017 წლის ბოლოს

3,475

3,475

შემოსვლა

გასვლა

-

2018 წლის ბოლოს

3,475

3,475

დაგროვილი
ამორტიზაცია

ჯამი

2017 წლის ბოლოს

-

პერიოდის
ამორტიზაციის
ხარჯი

521

521

2018 წლის ბოლოს

521

521

საბალანსო
ღირებულება

2017 წლის ბოლოს

3,475

3,475

2018 წლის ბოლოს

2,953

2,953

შენიშვნა 5 - სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში

2018 წლის 31
დეკემბერი

2017 წლის 31
დეკემბერი

სავაჭრო ვალდებულებები

383,770

59250

მიღებული ავანსები

2,331,506

სულ ჯამი

2,715,276

59,250

შენიშვნა 6 - ამონაგები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი
საქონლის რეალიზაცია	1,280,877
სულ ჯამი	1,280,877

შენიშვნა 7 - თვითღირებულება

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი
საქონლის თვითღირებულება	(1,090,162)
სულ ჯამი	(1,090,162)

შენიშვნა 8 - ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი
შრომის ანაზღაურება	255,852
წარმომადგენლობითი ხარჯები	13,031
ბანკის მომსახურება	5,625
კომუნიკაციის ხარჯები	5,417
ცვეთა და ამორტიზაცია	14,756
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	19,009
სულ ჯამი	313,690

შენიშვნა 9 - მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი
სარეკლამო დანახარჯები	(180,263)
სულ ჯამი	(180,263)

შენიშვნა 10 - ფინანსური ხარჯები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი
ოვერდრაფტის პროცენტი	(359)
სულ ჯამი	(359)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები

ფული და ფულთან გათანაბრებული
ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

გაცემული სესხები

სულ ფინანსური აქტივები

შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
	165,460	68.36	20.12	165,548
	1,286,577			1,286,577
-	<u>1,452,037</u>	<u>68</u>	<u>20</u>	<u>1,452,125</u>

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სულ ფინანსური ვალდებულებები

შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
	383,770	2,331,506		2,715,276
	<u>383,770</u>	<u>2,331,506</u>	<u>:</u>	<u>2,715,276</u>

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბრით;

დირექტორი: ჯ. ჩხაიძე

